საქრუსენერგო
სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა
SAKRUSENERGO
JSC UNITED ENERGY SYSTEM

N 16/327
20/05/2020

327-16-2-202005201417

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ საქართველოს გადამცემი ქსელის 2019-2029 წწ. განვითარების ათწლიანი გეგმის მიხედვით სს გეს „საქრუსენერგოს" დაევალა, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტის, ორჯაჭვა 330 კვ ეგხ „1,2 გარდაბნის" მშენებლობა, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის როგორც საქართველოს ენერგოსისტემის საიმედოობას, ასევე საქართველოს და აზერბაიჯანის ენერგოსისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობის მდგრადობას. აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზით შესაძლებელი იქნება 700 მეგავატამდე სიმძლავრის მიმოცვლა აზერბაიჯანისა და თურქეთის ენერგოსისტემებთან.

სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა ,,საქრუსენერგო'' საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაუმჯობესების მიზნით გეგმავს, არსებული ერთჯაჭვა 330 კვ ელექტროგადამცემი ხაზის ,,გარდაბნის'' გაორჯაჭვიანებას.

აღნიშნულმა პროექტმა, საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-8 და მე-9 მუხლების შესაბამისად გაიარა სკოპინგის პროცედურა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 19 თებერვლის №2-146 ბრძანების შესაბამისად გაიცა №16 11.02.2020 სკოპინგის დასკვნა.

330 კვ ეგხ ,,1,2 გარდაბნის" (არსებული ერთჯაჭვა 330 კვ ეგხ ,,გარდაბნის'' გაორჯაჭვიანება) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ზემოაღნიშნული კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ პროექტის გზშ-ს ანგარიშს თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად.

წერილს თან ერთვის:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 7511
"20" 05 2020
21 10 სთ.
02

მარკ ბრონშტეინის ქ. 1; 0178, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 20 33 88; ფაქსი: +995 322 20 33 88
www.sakrusenergo.ge ელ.ფოსტა: info@sakrusenergo.ge

1Mark Bronstein Str., 0178, Tbilisi, Georgia
Tel: +995 322 20 33 88; Fax: +995 322 20 33 88
www.sakrusenergo.ge E-mail: info@sakrusenergo.ge

- 330 კვ ეგხ ,,1,2 გარდაბანი''-ს (არსებული ერთჯაჭვა 330 კვ ეგხ ,,გარდაბანი''-ს გაორჯაჭვიანება) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გზშ-ს ანგარიში - 1 ეგზემპლიარი;
- 330 კვ ეგხ ,,1,2 გარდაბანი''-ს (არსებული ერთჯაჭვა 330 კვ ეგხ ,,გარდაბანი''-ს გაორჯაჭვიანება) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლიარი;
- 330 კვ ეგხ ,,1,2 გარდაბანი''-ს (არსებული ერთჯაჭვა 330 კვ ეგხ ,,გარდაბანი''-ს გაორჯაჭვიანება) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის ნარჩენების მართვის გეგმა -1 ეგზემპლიარი;
- დანართის 1-3 პუნქტში მოცემული დოკუმენტების ელ. ვერსია და პროექტის GIS კოორდინატები shp -ფაილის სახით - 1 CD;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მოსაკრებელი (500 ლარი, სახაზინო კოდი 300773080) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითარი);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგო"-ს რეგისტრაციის შესახებ;
- საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათქწლიანი გეგმა 2019-2029;
- სს გეს „საქრუსენერგოს" წერილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს;
- სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს" წერილი შპს „მეიდან ჯგუფს";
- სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" წერილი შპს „მეიდან ჯგუფს";
- შპს „მეიდან ჯგუფის" წერილი.

პატივისცემით,

ბაჩანა სულაძე

გენერალური დირექტორი